მზის დაბნელება

გსმენია მზის დაბნელების შესახებ? წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რა არის მზის დაბნელების მიზეზი.



იცი, როდის ან რატომ ბნელდება მზე? როგორც ცნობილია, ზოგჯერ მთვარე მზესა და დედამიწას შორის ჩადგება ხოლმე. ასე აღმოჩნდებიან ისინი ერთ ხაზზე. ცაზე კი ამ დროს ჩანს ან ნაწილობრივ, ან **სრულად** დაბნელებული მზე.

რით განსხვავდება მზის ნაწილობრივი და სრული დაბნელება ერთმანეთისგან? როცა დაბნელება არის ნაწილობრივი, მთვარე **მხოლოდ** მზის ნაწილს ფარავს. ასე იმიტომ ხდება, რომ მზე და მთვარე ზუსტად ერთ ხაზზე არ არიან განლაგებული. მზის ასეთი დაბნელება ხშირია.

როდის ბნელდება მზე სრულად? ალბათ, ხვდები. მაშინ, როცა მთვარე მთლიანად ფარავს მზეს. ამ დროს ცაზე ჩანს მხოლოდ მზის ვიწრო წრე. სრული დაბნელება 7 წუთსა და 31 წამს გრძელდება.

მზის სრული დაბნელება ხშირი არ არის. ის წელიწადში ორჯერ ხდება. **ოღონდ** მისი დანახვა ერთი და იმავე ადგილიდან მხოლოდ 370 წელიწადში ერთხელ შეიძლება. ამიტომ ტურისტები ჯერ **წინასწარ** იგებენ, საიდან შეძლებენ მზის სრული დაბნელების ნახვას. შემდეგ კი ისინი სპეციალურად მიდიან იმ ადგილისკენ.

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.

რა ყოფილა მზის დაბნელების გამომწვევი მიზეზი?

დონე: *A გამართული,* **კომპონენტი:** *მიზეზი და შედეგი*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ ტექსტის პირველი აბზაციდან?

ა) რამდენჯერ შეიძლება დაბნელდეს მზე.

ბ) რატომ შეიძლება დაბნელდეს მზე.

გ) საიდან ჩანს კარგად მზის დაბნელება.

2 მზე ნაწილობრივ ბნელდება, როდესაც:

ა) მზე მთვარის ნაწილს ფარავს.

ბ) მთვარე მზის ნაწილს ფარავს.

გ) მთვარე მთლიანად ფარავს მზეს.

3 რატომ მიდიან ტურისტები მზის სრული დაბნელების სანახავად სპეციალურად?

ა) მზის სრული დაბნელება ყოველთვის ერთი ადგილიდან ჩანს.

ბ) მზის სრული დაბნელება სხვადასხვა ადგილიდან ჩანს.

გ) მზის სრული დაბნელება შვიდ წუთზე მეტხანს გრძელდება.

4 ტექსტში ახსნილია იმის მიზეზი, თუ:

ა) რატომ ბნელდება მზე ხან ნაწილობრივ, ხან – სრულად.

ბ) რატომ გრძელდება მზის სრული დაბნელება რამდენიმე წუთს.

გ) რატომ დგება მთვარე მზესა და დედამიწას შორის.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ჩანს **სრულად** დაბნელებული მზე.
   ა) მთლიანად. ბ) მოულოდნელად. გ) ნახევრად.

2. მთვარე **მხოლოდ** მზის ნაწილს ფარავს.
   ა) თითქმის. ბ) მარტო. გ) ნამდვილად.

3. **ოღონდ** მისი დანახვა ერთი და იმავე ადგილიდან შეუძლებელია.
   ა) ალბათ. ბ) თითქოს. გ) მაგრამ.

4. ტურისტები **წინასწარ** იგებენ, სად ნახავენ მზის დაბნელებას.
   ა) ადრევე. ბ) დროულად. გ) სწრაფად.

2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) სპეციალური – განსაკუთრებული.
ბ) სრული – ნაწილობრივი.
გ) ხშირი – იშვიათი.

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

ასე	ან	ხოლმე

1. მთვარე ჩადგება ---------- მზესა და დედამიწას შორის.
2. ----------აღმოჩნდება მზე და მთვარე ერთ ხაზზე.
3. ჩანს ნაწილობრივ ---------- სრულად დაბნელებული მზე.

გრამატიკა

1 დაასრულე სიტყვები.

1. ორივე, მზეც და მთვარეც, ერთ **ხაზ...** არის განლაგებული.
2. მზის დაბნელება არ ჩანს ერთი და იმავე **ადგილი...** .

გრამატიკა

2 **კითხვების მიხედვით დაწერე სწორი ფორმები.**

როგორი?	როგორ?
ხშირი	*ხშირად*
----------	მთლიანად
სრული	----------
----------	ზუსტად

წერა

1 **ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეავსე სქემა.**

	რა ხდება?	როდის ხდება?	ხშირია თუ იშვიათი?
მზის ნახევრად დაბნელება	*მთვარე მხოლოდ მზის ნაწილს ფარავს.*		
მზის სრული დაბნელება			

2 **წარმოიდგინე, რომ უყურებ მზის დაბნელებას და გინდა შენს მეგობარს მისწერო წერილი ამ მოვლენის შესახებ. აღწერე მზის დაბნელების პროცესი და მისწერე მეგობარს შენი შთაბეჭდილებების შესახებ.** (რა დაინახე? რა მოგეწონა? რატომ?) **შენი ნაწერი გააფორმე ნახატით.**